

55828

№ 2

ეკონომიკური სალიტერატურო ჟურნალი

№ 2

მიიღება ხელის მოწერა 1910 წ., ვინც ამ თავიდან გამოიწერს და იანვრის განვლამდე მთელი წლის ფულს შემოიტანს პრემიით მიეცემა

სტეპნიაკის მოთხ. „სახლი ვოლგის ნაპირზე“.

წიგნი თებერვლის დამლევს დაურიგდება ხელის მომწერლებს

შინაარსი: დ. თურდოსვიკილი—ლექ. „სატანა“. ლალიონი—მოთხ. „ბეჟუკის ხვედრი“. ჯომლითელი—ლექ. „შურის ძიება“. ივ. გომარათელი—სალიტერატურო შინაშენები“. ზ. ახოსვიკილი—ლექ. „ხმა მამე“. ირითელი—მოთხ. „შავი მიხა“. ვ. რუხაძე—ლექ. „დამსხვრეული სიყვარული“. ს. პარტენაშვილი—„დედა“. იასაიანი—ლექ. „ოლესიდან“. ძუიშვილი—ლექ. „მიმართვა“. რუსულ ახალ მწერლობის ისტორია კოგანისა თარგმანი ი—სა.

სატანა

ტურთა წაღკოტში ნაზი ევაჯილი
თვადის წარმტაცათ იფურჩქნებოდა,
და ძირს კვარცხლბეკათ გადაშლილ მდედლს
ტკბილ სურნელებით ეფინებოდა.

გეკლუტი, ნაზი მთისა ნაივი
ეუღს ეგლებოდა, ოდნავ ჭიერაგდა,
სურდა მის ფთთფთ მისწებებოდა
თითქო მარცხვობდა, ვერა ჭბედაგდა,
ანცი ნაკადი, კარდით მომსკადრი
ნაზით მხტობდა, მოკისკასობდა
და სხვაკლ ცვრებით ნაზ ფთთფთობდა
ვით აიაზმა ეხუერებოდა.

ცისა ციაგი კრძალულებითა
მისს კახტა ქობორს აფრქვევდა ცვარსა,
ფრთფრანთ მგოსანი მისს სადიღებლათ
სხვა და სხვა ჭანგზე აუღერდა ჩანგსა.


ხოლო სატანას, შირქუშ სატანას
ამის ჩახვაზე დობლი სცვიოდა,
და შესაზარელ გუდას მქენჯნ ჭანგებს
კიდით კიდემდე მიმტკიოდა.

* *

დრო შეიცვალა, ზურმუხტი ჟუბა
შემოქადრცვა არე მარესა,
ცაზე ვარსკვლავთა თვალნი მიღუფეს
ფერი შეეკრთო მზეს და მთვარესა.

ზათქით ღრიალით არე მიდამოს

შეშინებულმა დაჭკრდა ქარმა,



25966

ვია და ვიში გამეფდა ქვეყნათ
ცხცხცხი მხრთთ შიშით მთა-ბარმა.

ანტმა ნაკადმა შესწევითა ღენა,
კუდრაჟ მერცხლმა ტკბილი ზევსურნი,
ნაზი ფოთოლი ჩამოსწულა უღონტზე
უდრთვით დასტენა მისი კუკური.

ხოლხო სატანა, იგივე სატანა
ჯოჯობეთიდან გამწვანული
მეტის სიამით ხტოდა ცეკვავდა
ბორბორბობიას ადრეინებული.

დ. თურდოსპირელი.

გაყუას სვედრი

(გაგრძელება. იხ. „სს.“ № 1).

შუადღემ მოატანა. მძინარე ბეჟუკას სახეზე დამილი
უთამაშებდა; იგი სასიამოვნო სიზმარში იყო, როდესაც
რადაც ხმაურობა შემოესმა. ბეჟუკა ფოთახივით წამოი-
ჭრა ზეზე და იქით გაიქცა, სადაც ხარები ეგულებოდა,
მაგრამ შეხერდა. რადგან ახლა მეორე მხრიდან ისმოდა
ფერილი: „აქედან მოურე ბიჭო, აქედან!“ ბეჟუკამ
მიიხედა და ელა ელა: მან დაინახა, რომ ზევით, კარ-
გა მოშორებით, ვიღაც 17—18 წლის ბიჭი მის ხარებს
მიერეკებოდა ბუნქებისკენ; იქვე მოსხანდა ორი ცხენო-
სანი კაცი, რომელთაგან ერთს მხარზე თოფი ეკიდა.
„დასარქე, დასარქე!“ გასცა ბრძანება თოფიანმა, რომე-
ლიც ახლა იცნო ბეჟუკამ.

სიკო ძუძგურაძე არ იყო დიდი შეძლების მემამუ-
ლე, მაგრამ რაც გააჩნდა, იმითაც საკმაოდ ავიწროვებდა
მეზობელ გლეხებს. მას ცუდი სახელი ქონდა გავრდ-
ნილი. მომხრეები ძრეულ ცოტა უფლა სოფლად; ეს
ისეთი ხირები იუვენ, რომელთაც მეზობლები არ სთვლი-
დენ „წმინდა წელის“ აღმინებთ. იყო დრო, როდესაც
საც ძუძგურაძეს გაუთიციენ სოფლები, შესწევითეს
მასთან კავშირი და სრულიად ხელი აიღეს მის მამულში
მუშაობაზე. სიკოს საქმე გაუჭირდა; წელში მოიხარა,
თავი მოიკატუნა; მაშინ ის ვეკლავდებოდა თანხმა იყო,
ხირზე მუდამ ხალხის ერთგულება ეკერა, მაგრამ მისი
მანერ არავის არ სჯეროდა... დრო შეიძვალა, სხვა ქა-
რმა დაბერა და ძუძგურაძეც წელში გაიმართა, ფრთები
შეისხა... ზურგ გამაგრებული სიკო ახლა სივსებით სარ-
გებლობდა მდგომარეობით... იგი დაუნდობლად მძინ-
ვარება სოფლად, შეუბრძლებლად აწიოკებდა ვეკლას;
მის თავხედობას სახლვარი არ გააჩნდა...

ერთხელ ბეჟუკასაც ქონდა აღებული ძუძგურაძის
მამულში სადაც ორიოდე ქცევა საყარად. მეორე წელი-
წადს, როდესაც ძუძგურაძის დამოკიდებულება გლეხებთან
მეტად გამწვავდა, ბეჟუკამაც თავი მიანება მის ადგილს
სხვებთან ერთად. მაშინ სიკომ სცადა ზოგიერთ მომუ-

შეკეთა გადაბირება და ამ მიზნით წინადადება მისცა უფ-
რო ღარიბ გლეხებს, მათ შორის ბეჟუკასაც, კვლავ აე-
დოთ მის მამულში საყარები უფრო ხელ-საყრელ ხირ-
ბებით. მაგრამ ბეჟუკამ არ უდალატა მოძიებს... დღეს
ძუძგურაძე ერთა მეგობრას თანხლებით სანაჯრდოთ გა-
მოვიდა; მან გაიფიქრა მოჯამაგირე ბიჭიც, რომელსაც,
ვინ იცის რისთვის, დიდი ქოფიკი მიჭვავდა თოკით.
ბეჟუკას ხარების დანახვაზე სიკო აენტო და მაშინვე ბრძა-
ნა მათი დაჭერა. მართლაც, ხარები სიმინდში არ გა-
სულა; ისინი უფრო სხვის ადგილში სძოვდენ, სადაც
უკეთესი ბაღის იყო, მაგრამ გააფთრებულ შემამულესთვის
ეს სულ ერთი იყო; მას ბეჟუკას დაბრუნა უნდოდა და
ამასთვის ხომ ისიც საკმაოდ იყო, რომ ეს უკანასკნელი
ახლა ავრ მის ადგილში ხვრინავდა. არა, სიკოს არ შე-
ეძლო ამის მოთმენა... შემთხვევაც მეტად მარჯვე იყო...
ხასუხს ვერავინ მოსთხოვდა... ბეჟუკას გათელდა მით
უფრო ესამოვნებოდა სიკოს, რომ ამით ერთხელ კიდ-
ევ დამტკიცებდა მ სთვის ოდესღაც თავ-ზარ დამცემ
გრივლის განადგურებას, იმდალათა შემუხრვას, რომე-
ლიც ერთ დროს ძუძგურაძის და მის მსგავსთა თვით-
ნებობის დათვრუნვას ღამობდა... იმ უმად ხომ მათი
დღესასწაული იყო: ოდესღაც ძველ-მოსილი, მრისხანე
მტერი ახლა სრულიად უძღური, ძალზე შეკრულ-შეობ-
კილი მიწაზე იყო დანარცხებული...

— როგორ გაბედა, უაძახო!.. დასტვივლა სიკომ,
როდესაც გაფთრებულმა ბეჟუკამ ხარებს მათურა.

— უკაცრავად, ბატონო!.. დაიწყო უკანასკნელმა
დაბნეულად: ერთ წამს ხარი გამოუშვი მოსაბაღსებლათ...

— კაი სმაღასო გიშინია!.. დაცინვით შენიშნა
მეორე ცხენსანმა: უმატრონა თუ გეგონა უნა...

ამ დროს მოჯამაგირე ხარებს უტრიალებდა დასტვი-
რათ, მაგრამ ვერ ახერხებდა.

— რა დიერთი გაგიწერა! დაუფიქრა მას ძუძგუ-
რაძე, გადმოხტა ცხენიდან და თითონ ჩააბა ხარებს თო-
კი.

— არც კი ამითვალება ზარალში ავი ხარები...
თვალების ბრძალით დაუმატა მან.

ბეჟუკას სისხლი თავში აუვარდა, ცხცხცხი დაწ-
ყებინა.

— რავა გეკადრებიენ მათი აღელებით წამოძახა
მან: უნაში რა უნდოდა ხემ ხარებს.. მე აქნაი გაუშვი
ავერ... ამისთანა ბაღსხს დტოებს მშოერი ხარა და იმ-
სიმორზე წავა?.. კიდევ რომ გასულიყო იმდენს რას
გააფუტებდა.. ერთ წუთში... ელანძე მივლევი თვადი...

— ჩვენ ვსტეუით ალბათ!.. როგორ ბედავ, უა-
ძახო! დასტვივლა სიკომ და მათხახი ასწია დასარტყამთ.
ბეჟუკა განზე გაუჩტა.

— დიერთი, რჯული, ჩემი ხარები იქით არ წასუ-
ლა... თუ განტეპაი შედენა ვინმემ-არ ვიცი... ნუ დგე-

ბით ჩემ ცოდვაში!... რა იქნა, თქვე თჯანსაშენებულებო,
 ქვეყანა ხომ არ დამიქცევია... ერთი კვირის შემდეგ კი-
 დგ უკეთესი ხალხი გაიხდებოდა აქნა... რაც შეჭამა
 ჩემმა ხაზმა, იგი ერთი ორად გადამახდევინეთ... სხვაი
 არაფერი დანაშაული მაქ თქვენთან, არ დამეხდეს ცოდ-
 შვიდი... ბეუუკამ ამოდო უბიდან ჩვარში გახვეული
 მანეთიანი და გაუწოდ სიკოს.

— ა, ბატონო, დმერთმა შეგარგოს...

— ზარალში ხარები მიმუავს, დანარჩენი მიმატიე-
 ბია შენთვის... მიახალა ძუძუკრამქიმ: რაგორ ბედავ
 შენ... რა იფაქრე, უძახო?... იგი დროი შეგჩრებოდათ
 გგონს...

— აბა აზიზა მართმევე ახლა ხარებს?...

— ხუთასი მანეთი დიხს ჩემი უან... სულს ამ-
 გთხრო კისერში .. მიჩივლე ახლათობასთან!.. გამოკეთეთ
 ბოაკოტა თქვენებურათ... დაცინვით დაბოლავა სიკომ.

— გასწი, ბიჭო! გადასძახა მან მოჯამაგირეს და
 და თან მძლავრად დაუშინა მათხანი ხარებს.

ამის დანახვაზე ბეუუკას სისხლი აემდგრა.

— ხარს ნუ გამოილხანა! შესძახა სიბრახისაგან
 აცხატახებულმა: ვერ გაგატან! დამატა მან, თვალის და-
 ხამხამებაში გამოგლიჯა ბიჭს თოკი და განზე გააქანა
 ხარები.

— აბა თუ არ გამატან! დაიდრიალს ძუძუკრამქიმ
 და რაც ძალი და დონე ქქონდა, შიგ სახეში სთხლიმა
 ბეუუკას მათხანი. სიმწარისაგან დაიკლანა ბეუუკა და
 თოკი ხელიდან გაუვარდა.

— ურჯულებები!.. მომიხთენ... ძალადობით მარ-
 თმევენ... ნაწვევტ ნაწვევტათ წამოიძახა მან.

— ენა დაიმოკლე, უძახო, თვარა გაგასიებ ცე-
 მით .. დამუქრს შემამულე და ხარები გარეკა.

ბეუუკა ძუნძულით აედგვნა მათ.

— ქვეყანაზე სადაა სამართალი ან რამე... ასე
 თვალ და ხელშუა მომთხარეს, დამაქციეს... ვინაა გამ-
 კითხავი. . ბუტბუტებდა იგი. ამასობაში ცხენკონებმა
 გაიარეს ბუქნარო, გაფიდენ ღელეში, შემოუარეს ზატარა
 სერს და შკერის დობით შემოვლდებულ დიდს უხარში ჩა-
 ვიდენ; ხარებარე აქ, ნაღიის ბოძზე, მიაბეს. ბეუუკა
 კანკალმა აიტანა; მას არ უნდოდა მოშორებოდა იმ ად-
 გილს, მაგრამ მოაგონდა საქონლით დატვირთული ურე-
 ში და გულ-ამდვრეული უკან გამოაქცა.

ლალიონი.

(დასასრული იქნება)

შურის ძიება.

(სურათი სოფლის ცხოვრებიდან.)

ეს მოხდა ღამით... ცრს ლურჯ ტატნობზე
 მთვარე ამაყად მიმოღრიოდა,

სირნი არ სწყვეტდენ კანტიკუნტ სტვენას,
 სევდისა ხმაზე „წყრომი“ ჰკიოდა...

ვარდმა გაშალა მგზნებარე გული,
 სატრფოს აუგსო გრძნობის ფიალა,
 ვერ მოითმინა მგოსანმაც მეტი
 ჩამოჰკრა ჩანგს და ააწკრიალა!..

ეს ხმა რა ესმა მაღლობზე მწემსსა,
 მყის აეშალა მას სადერღელი:
 სევდის ღრუბელი ნიავს გადასცა
 და მან სალამურს მოჰკიდა ხელი,

მიჰბაძა ბულბულს: ეს ორი კილო
 გადაექსოვა ერთი-მეორეს
 და ეგ ხმა შორს ტუბილ გამოძახილათ
 ტყის კიდურებმა გაიმეორეს...

დაფრთხა ბაჭია ბუჩქისა ძირად...
 შორს იქით ტყეში ბუმ დაიკვნესა
 და ამ სევდის ხმამ ელექტრონივით
 მსწრათლ დაუარა დაღვრემილს ტყესა...

ის ამ დროს იჯდა იქ, ტყეში, გზის პირს,
 ხის ქვეშ ებოვა კარგი საფარი
 და მოელოდა აქვე ვილაძას:
 მტერი იყო ის, თუ მეგობარი?

ეს გახლდათ თედო ახალიშვილი,
 ცივი ქვეყნიდან დაბრუნებული,
 უფრო მისთვის, რომ თვის გამცემელზე
 შურის ძიებით ეჯერა გული!

ვისაც ელოდა, ის იყო კოლა,
 რომელიც თედოს სოფლად მწერლობდა.
 („სადაც ჯერაარს“, ის საიდუმლო
 ცნობებს აწვდიდა და გამცემლობდა).

დღეს დილით ადრე უკვე წაიღო
 მან ნაჩვევს ადგილს ძვირფასი ძღვენი,
 გამობრუნდება უკან ამელამ:
 (გზის ჩვეულია ამისი ცხენი!)

ამ ტყის სიბნელის და გზის სიძნელის
 თედოს თვის ცხენზე არ ედარდება:
 ერთს მათრახს ოდნავ გადუქნევს ცხენსა
 და ფინთიხივით ის გავარდება!..

ჩუ! თოხარიკის ხმა შემოესმა...
 წამოხტა თედო, ატოკებული,
 და გადმოიღო სიფრთხილით თოფი,
 იქვე წინ ხეზე მიყუდებული.

მწყემსი სალამურს ისევ უკრავდა...
 სირთ მაყრიონი არ შეეწყვიტათ,
 ღამის სიმშვიდეს სულ გაეტაცნათ:
 უსტვენდენ ნაზათ და კანტიკუნტათ...

და როს ბულბულმაც შორს, თითქოს განგებ,
 უცხო რამ ჰანგზე დაიწკრიალა,

მის საპასუხოთ ამ ტყის სიღრმეში
თედოს ბერდანკამ დაიგრიალა!..

ხმამ, უჩვეულომ, ქუხილ-ქუხილით
მყის ფრთა აიწყო, როგორც გრივალმა...
სირთა შეკრთომით შესწყვიტეს სტვენა,
ტყე გადალახა ბაჭიამ, მფრთხალმა.

6. ზომლეთელი.



სალიტერატურო მიმოხილვა.

II

ბერძენთა მითოლოგიაში ერთი საუკეთესო
გარდმოცემია. ახალგაზრდა იკარმა ფრთები შეისხა
და აფრინდა მალა ჰაერში. ის გაიტაცა ოცნებამ
შორს, შორს. ის მოჰხიბლა მშვენიერებამ და მიუ-
ახლოვდა მზეს, რომ ახლოს ეხილა ეს წყარო სი-
თბოსი და სინათლისა, მომნიჭებელი სიცოცხლისა
და ნეტარებისა.

იკარმა მოინდომა სინათლას ცნობა, ქეშმა-
რიტებ ს პოვნა, სიცოცხლის საიდუმლოების ამო-
კითხვა, მაგრამ მზემ ფრთები გაუღწია და იკარი
დედამიწას დააკვდა.

განა ყოველი ქართველი პოეტი იკარი არ
არის? ყოველი ქართველი პოეტი იკარის ბედს გა-
ნიცდის, მხოლოდ ერთ-ს დიდის განსხვავებით.
იკარს უნდოდა, მზეს ჩაჰკროდა გულში და გატა-
ცებამ სრულებით დაავიწყა, რომ მისი ფრთები
მზის სიცხველეს ვერ გაუძლებდენ.

ქართველი პოეტიც მზისაკენ მიისწრაფის, მა-
გრამ მარტო კი არა, მას თან მიაქვს სინათლისაკენ,
სითბოსაკენ, სიცოცხლისაკენ, ქეშმარიტებისაკენ
თავისი მრავალტანჯული სამშობლოს შავი ბედი.
ხოლო ნათელი სხივების სიცხველით ფრთებ დამ-
წყვარი კი არ ვარდება ძირს, არამედ ბნელეთისა და
წყვედიადის სისქეს ვერ აპობს და ნათელი სხივი სა-
მუდამოთ ეკარგება თვალთავან.

ვაჟაფშაველა თავის პირველ ნაწერებში იგივე
იკარია. მხნე, მამაცი, შეუპოვარი, სახე გაბრწყინ-
ებული ის მიისწრაფის სინათლისაკენ, სიმართლი-
საკენ.

ის შეუპოვარია, ქედმოუხრელი.

მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა:
მთაში—მთა, ბარად—ბარია,
ზღვა და ხმელეთი ერთიან,
ცის—ვარსკვლავების ჯარია,
დილით მზე მანათობელი,
ღამით გუშავი მთვარია.

წარსულთა გმირთა ნამოქმედარით და მაგალი-
თით გამხნელებული ის მომავალში ეძებს საგმირო
საქმეებს.

ვაჟა-ფშაველა დიდი ნიჭია, დიდი ხელოვანი.
იმის ოცნებას სამზღვარი არა აქვს, ის სიღრმით არ
გაიზომება, დროში არ გამოიხატება. მაგრამ მისი
პოეტური აღმადრენა მაინც ფრთებ შეკვეცილია;
ბუნებას მისთვის ყოველისფერი უხვათ მიუცია,
რომ თავისი ნიჭი მსოფლიო კითხვების რკვევაში
ავარჯიშოს; მიუხედავად ამისა პოეტი თავის სალ
კლდეებს „ზავით მზარავთა და კაცის ფეხ-დაუკა-
რებთა“ შეჰხორციბია მთელის თავისი არსებით და
მისი ოცნება, მისი ფიქრი, მისი გრძნობა, მთელი
მისი აზროვნება, მთელი მისი ნება, მთელი მისი
სურვილი ამ კლდეებს დასტრიალებს ეარშემო.

რატომ? რა არის მიზეზი?

ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!

მძინარეც იმას ვლუღუნებ.

აი რატომ. აი რა არის მიზეზი.

თუ რომ პოეტი მძინარეც სამშობლოზე ჰფიქ-
რობს, ცხადია, ფხიზელის მთელი მოფიქრება მხო-
ლოდ სამშობლოს ეარშემო დაიწყებს ტრიალს.

მსოფლიო კითხვებისათვის რანაირათ მოიცლის
პოეტი, რა დიდი ნიჭის პატრონიც უნდა იყოს
ის, როცა სამშობლოს კითხვას შეგოჭილი ჰყავს
მთელი მისი არსება, მთელი მისი გრძნობა, მთელი
მისი მოფიქრება!

ვერც ერთი ქართველი, რომელიც კი თავით
ჰფიქრობს და გულით გრძნობს, სამშობლოს კით-
ხვას გვერდს ვერ აუქცევს.

ბედმა ყოველისფერი მოგვცა, რომ ჩვენი
ცხოვრება დიდებული იყოს და ჩვენი ხალხი ბედ-
ნიერი, მაგრამ იმათმა სიბეცემ და შორს მჰკვრეტე-
ლობის უქონლობამ, ვინც ისტორიამ ჩვენი პოლი-
ტიკური ცხოვრების სათავეში წამოასკუპა, ხელი-
დან გამოაცალა ის, ურომლისოთაც შეუძლებე-
ლია დიდებული ცხოვრებაც და ბედნიერებაც. ეს
არის ეროვნული თავისუფლება.

ფართო, განვითარებული, პოლიტიკურა
ცხოვრება შეუძლებელია იქ, საცა ეროვნული და-
მოუკიდებლობა არ არსებობს. ლიტერატურის გან-
ვითარება კი—როგორც საერთოთ კულტურული
ცხოვრების ყოველი დარგის განვითარება—შეუძ-
ლებელია იქ, საცა თვით ცხოვრება არ არის
რთული და განვითარებული.

მუშტი, მათრახი, ციხე და სახრჩობელა რომ
ვისმე და რასმე ავითარებდეს, რუსეთი აქამდე სა-
მოთხეთ გადიქცვოდა!

არავინ არ იცის, რათ იბადება პეტრე პეტ-
რეთ, ივანე ივანეთ და სხვა; ხოლო ის კი ცნობი-
ლია, რომ პეტრეს, ივანეს და სხვათა გრძნო-
ბა, აზროვნება შეკავშირებულია ცხოვრების გა-

რეშე პირობებთან, გარემოებასთან ღარიბ ცხოვრებაში ისახება ღარიბი გრძნობა, იბადება ღარიბი ფიქრი, რთული, მდიდარ ცხოვრების პირობებში კი რთული და მდიდარი გრძნობა—ფიქრები.

ბუნებამ მდიდარი გრძნობითა და ფიქრებით რამ დააჯილდოვოს ვინმე, ცხოვრების ღარიბ პირობებში ის ვერ გამოაშკარავებს თავის ფიქრებსა და თავის გრძნობებს.

ამიტომ რა ნიჭის პატრონიც უნდა იყოს ქართველი პოეტი, მისი ნიჭი საკმაოდ ვერ გაიშლება, მისი ოცნება ვიწრო სამზღვრებში მოექცევა, მისი აღმაფრენა საკმაოდ ფრთებს ვერ გაშლის.

ვაჟა ფშაველაც უხვად დააჯილდოვა ბუნებამ. მდიდარი ოცნება, ღრმა გრძნობა, ბუნების ცოდნა, მხატვრული ენა, ფერადების მრავალ გვარობა, — ყოველისფერი ხელთ უპყრია პოეტს. პირველი სტრიქონებიდანვე თქვენი თვალის წინ იხატება ძლიერი ხელოვანი, მსოფლიო პოეტი, მაგრამ გადის ღრმა და პოეტი მიჯაჭვული რჩება თავის სამშობლოს ზავით მზარავ კლდეებზე, ვითარცა ამირანი.

რაც უნდა გაუბრძოდეს რომელიმე პოეტი სამშობლოს კითხვას, ეს კითხვა მისდა უნებურათ დაიპყრობს იმის გულს, იმის აზროვნებას, იმის ოცნებას. ძლიერი სევდა, ისეთი სევდა, რომ ცასაც არსაიდან რა შამოველება, ადამიანის გრძნობას აჩლუნგებს, აზროვნებას ასუსტებს, ნებას აუძლურებს.

სამშობლოს საკითხი ყველა ჩვენი პოეტისათვის უდიდესი საკითხია, ეს საკითხი კი მხოლოდ სევდის მომგვრელია და ისეთი სევდის, რომელსაც არსაიდგან არ შამოველება. ეს სევდა ბოლოს და ბოლოს ოცნებას უკლავს, აზრს უწამლავს, ნებას უსუსტებს და გრძნობა—აზროვნების ძალას აცლის ქართველ პოეტს.

ბედნიერია ევროპელი პოეტი! ის ცხოვრობს შედარებით თავისუფალ საზოგადოებაში, მის სამშობლოს არსებობა უზრუნველ ყოფილია, მას არ ჭირდება; გრძნობა და აზრი შეილიოს შეაკლას სამშობლოს ყოფნა არ ყოფნის საკითხს; მისი თვალის წინ გარდაშლილია მსოფლიო საკითხები, მისი გრძნობანი უერთდებიან მსოფლიო სევდა—ნეტარებას, მისი ოცნება უსაზღვროა, ჩვენ კი წყეულმა ბედმა შავი მიწა გვარგუნა, შავი ფიქრები, მონის უღელი.

და როდესაც ჩვენი არსებობა, ჩვენი ხვალისდელი დღე უზრუნველ ყოფილი არ არის, რანაირათ შეუძლია ჩვენს პოეტს სამშობლოს ტანჯვით

არ დაიტანჯოს, სამშობლოს სევდით არ დასევდიანდეს!

ეს სევდა ნელნელა ჩაითრევს მას, მთელ იმის არსებას დაიპყრობს, მთელ იმის ოცნებას დაიმონავებს, მთელ იმის გრძნობას შებორკავს, გულში ჩაიკრავს და მაშინ პოეტი მსოფლიო კითხვებისათვის მკვლარაა, იმისი ჩანგის უმთავრესი საგანი, ყოველდღიური ცხოვრება და მისი ქირვარაში იქნება, ცრემლები კი უმთავრესი ნაყოფი. და როდესაც ვაჟაფშაველამ თავის უკანასკნელ ნაწერებს „ცრემლები“ უწოდა, ამ ერთ სიტყვაში მთელი თავისი პოეტური სულისკვეთება, მთელი თავისი აზროვნება, მთელი თავისი ფიქრები, მთელი თავისი გულის ნადები გამოჰხატა. პოეტი უკვირდება ცხოვრებას და ყოველგან უსამართლობას ჰხედავს; უკვირდება ბუნებას და იგივე უსამართლობაა.

ერთი საათის სიტურფე

ათას წლისას თანმდებოდა.

რადგანაც ღრმა ყველაფერს ერთნაირათა სპობს, ყველაფერი ერთნაირათ ფუქია, ერთნაირათ წარმავალი.

რადა, რად არის ესეა?

სასოწარკვეთილებით ეკითხება პოეტი თავის თავს, ბუნებას, მაგრამ პასუხი არ საიდან არ იმის.

პოეტი თითქოს თავს ინუგეშებს:

გაძლება გვმართებს, ბუნება

რასაც დაგვადებს ხარჯადა.

მაგრამ ამგვარი ნუგეში რომ სჩულო უნუგეშობის მომასწავებელია, თვითონ პოეტივე გვიმტკიცებს, როდესაც ის, „თვალთავან ცრემლმთოვიარე“ გაპყურებს განვლილ ცხოვრებას.

სევდა, სევდა და სევდა! აი რითა სავეს პოეტის უკანასკნელი ნუგეში. მაშინაც კი, როდესაც პოეტი სევდას ივიწყებს და უნდა, სამხიარულო რამ დამღეროს, თითები აღარ ემორჩილება, გული სხვას ამბობს.

ხელში ავიღებ ჩანგურსა

მინდა დავმღერო ლაღაღა,—

თითები აღარ მომყვება—

გული არ არის საღაღა.

გადაქცეულა ნაოხარ,

გაბეჩრებული ბაღაღა.

პოეტს უნდა, დედამიწა დაივიწყოს მისი ქირვარამით, მისი ტანჯვებით, მისი ცოდვებით, მისი ცრემლებით; მას უნდა, ოცნებით ცის სივრცეში გაფრინდეს, რადგანაც მას უყვარს ციური აზრი, ღვთაური გრძნობა, ფიქრი, მაგრამ

ფრთებს მიკვეცს აღმაფრენასა

ამბავი ყოველ დღიური.

ტრალიზში პოეტისა იმაში მდგომარეობს,

რომ მას უნდა მოსწყდეს ცხოვრებას, სრულებით დაივიწყოს ის და ციურ ფიქრს, ციურ გრძნობას გაჰყვეს, მაგრამ ცხოვრება მას არ უშვევს, ბრწყინებულში ჰყავს ჩაქედლილი და ეუბნება: ჩემის ტანჯვით დაიტანჯე, ჩემის სევდით დასევდიანდი, ჩემის უბედურებით გაუბედურდი, ჩემთან ერთათ იტირე და შენს აღმაფრენას ფრთები შეჰკვეცეო.

პოეტიც სევდით დატანჯული ნადვლის ზღვაში დასცურავს და თუმცა წინ ცრემლი გუბედ უდვას, მაინც ტარის. ტირილიც არას უველის, მაგრამ ტირილის მეტი აღარაფერი აღარ დარჩენია, რადგანაც იმედი მთლათ დაკარგული აქვს.

როდესაც პოეტი ივიწყებს ყოველ დღიურ ცხოვრებას, მისი ოცნება ფრთებ გაშლილი ცაში დანაფარდობს, ვარსკვლავებს ეთამაშება, მთვარეს ეალერსება, რომ ზეციური ჰანგები შეჰკრიბოს, მაშინ პოეტის ყოველი ლექსი, ყოველი სტრიქონი, ყოველი სიტყვა, განხორციელებული მშვენიერებაა, ნამდვილი შედეგია, უკვდავი მარგალიტია.

მაგრამ სადაც უნდა გასტყორცნოს პოეტა ოცნებამ, დედამიწის გოდება მაინც ყოველგან სწვდება იმის სმენას, იმის გულს.

საწყალი საწყალადვე რჩება,
ისევ სდის ცრემლის ღვარი,
მგლები, აფთრები მრავლდება
ჰარობს იმათი გვარია

და პოეტის ოცნება ისევ ძირს ეშვება, პოეტის გული ისევ სევდით ივსება, მისი ფანდური ისევ ბედგანამწარი იწყებს გოდებას:

მტრისამც გულია ასეთი
როგორც გული ჩემია:
უნდა დავლიო სიმწარით
ჩემი სიცოცხლის ღღენია.

პოეტი რწმუნდება, რომ იმის ჩონგურს, იმ ჩონგურს, რომელიც ციურ ჰანგებს დამღერდა, სიმები სამუდამოთ დააწყდა.

დამიწყდა ჩონგურს სიმები,
აღარ აესხმის აღარა.

გული დადუმდა, გონება დაჩლუნგდა და ერთთ ერთ ნუგეშს პოეტი ცრემლებშია ჰპოულობს, კაეშანს იმსუბუქებს.

ცხელის ცრემლისა ღენითა

რა არის ან სად არის მიზეზი პოეტის სულიერი ტანჯვისა?

ვაჟა ფშაველას სევდას სამი სათავე აქვს: ეროვნული, სოციალური და ფილოსოფიური.

პოეტს უყვარს თავის ბედშავი სამშობლო და, რადგანაც ის უბედურია, ხელ-ფეხ შებორკილი, მონათქეული, თავისუფლების მოტრფიალე, პოეტის გულიც სევდით, ნადვლითა და ბოდვით არის სავსე. ეს სევდა, ეს სასოწარკვეთილება პოეტისა

მით უფრო უსახდეროა, რომ პოეტს არავითარი იმედი არა აქვს თავისი სანატრელი სახის — თავის მამულის მკვდრეთით აღდგომისა, ამიტომ პოეტის გული სევდით ივსება.

და ცრემლებში ეძებს ნუგეშს.

პოეტი უკვირდება ცხოვრებას და ყოველგან მხოლოთ უსამართლობისა და ძალმომრეობას ჰხედავს; საწყალს ცრემლის ღვარი სდის,

მგლები, აფთრები მრავლდება
ჰხარობს იმათი გვარია.

პოეტი ნატრობს, რომ
სიმართლის გამარჯვებისა
მთაზე არწივი ყოიღეს.

რომ
შხამის და გესლის მთესველნი
მოისპნენ, არა რაობდნენ.

მაგრამ ამავდროს დარწმუნებულია, რომ მისი ნატვრა ნატვრათვე რჩება და ვინ იცის, როდემდის.

აპიტომ სევდა, სევდას ემატება და პოეტი ცრემლებშია ეძიებს შვებას. ვაჟა-ფშაველა თავისი მსოფლიო შეხედულებით ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავია.

ნ. ბარათაშვილის თვალში აწმყო მხოლოთ ფუჭი და ამაოებაა, წარსულთა დროთა მოგონება კი იმის სულს აფიქრებს.

ვაჟა-ფშაველასთვისაც აწმყოში არაფერი არაა და წარსულზე ფიქრი მას სულს უწყუბებს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი თავისი მსოფლიო შეხედულებით მსოფლიო სევდის მატარებელია, ცხოვრება, ადამიანის არსებობა მას არ აკმაყოფილებს, მას აფიქრებს და თან აღონებს სიცოცხლის მიზანი, საიდუმლოება სიკვდილისა, ამაოება და წარმავალობა ყოველივე არსისა, თვით საწუთროსიც.

ამგვარივე კითხვები, აღონებს, აფიქრებს ვაჟა-ფშაველასაც

ნიკოლოზ ბარათაშვილი ჰხედავდა, რომ ყოველივე წარმავალია, მაგრამ მისი გულის თქმა ცის იქით ეძიებდა სადგურს, ზენაართ სამყოფს; მას სწამდა, რომ არსებობდა საპარადისო, უკვდავი, წარუვალი ანუ აბსოლუტი და ის ეძებდა ამ სამპარადისოს, ამ აბსოლუტს, მაგრამ ვერ ჰპოებდა და ეს კიდევ უფრო აათასკეცებდა იმის სევდას.

ვაჟა-ფშაველაც ჰხედავს, რომ ყოველივე წარმავალია, ყოველივეს დასასრული აქვს.

განგების სათამაშოა,
გასართობათ ვართ გამხდრები;
ერთია, თუნდა ჩვენ ვიყვნეთ
და თუნდა მინდვრის თავგები,
გავვრანდება ერთხელაც
ტურფად შემკული ბადები,

ჩამონგრევა დარბაზი
და სასახლისა თაღები.

მულმივი, სამარადისო, გარდუვალი არაფერი არ არის, ამიტომ ვაჟა-ფშაველა არც ეძებს, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილი, ამ სამარადისოს, ამ აბსოლუტს, მისი რწმენით აბსოლუტი არ არსებობს, მაგრამ ამგვარი რწმენა პოეტს სრულებითაც არ ანუგეშებს.

თუ ნ. ბარათაშვილს ის სტანჯავდა, რომ სამარადისო სწამდა ეძებდა და ვერ ჰპოებდა, ვაჟა-ფშაველას ის სტანჯავს, რომ სამარადისო მას არა სწამს, წარმავალი სიცოცხლე კი მას არ აკმაყოფილებს.

პოეტის სევდა ნამდვილ გოდებათ იქცევა და ის ტირილში ეძიებს შვებას, მისი უკანასკნელი სიმღერა „ცრემლებში“ უსაზღვრო, უნუგეშო სევდის ამონაკენსია.

ბარათაშვილსა და ვაჟა-ფშაველას შორის ერთი დიდი განსხვავებაა.

ბარათაშვილი — მშვიდი, წყნარი სევდაა.

ვაჟა-ფშაველა კი სევდით შებყრობილი მიჯაჭვული ამირანია, რომელიც თავის ხმაღს ვერ მისწლომია ხელით.

მიეცით ბარათაშვილს ამირანის ხმალი, ის ხელს არ მოჰკიდებს, რადგანაც ის არავის არასფერში არ ამტყუნებს და არავის არ ებრძვის, ის სევდიანი ფილოსოფოსია.

მიეცით ვაჟა-ფშაველას ამირანის ხმალი, ის მაშინათვე გაჰკვეთავს თავის შემბორკველ ჯაჭვებს და დაეშვება თავიქვე საომრათ.

ივ. გომარაელი.

ხმა, ხმა მამე.

I

შუა-ღამეს მოდი ჩემთან,
მივესალმობთ ერთად ზღვის პირს,
ჩემსას გეტყვი, შენი მითხარ,
ნუ დაფარავთ ჩვენს გულის ჭირს!
იღუღუნე, მსგავსათ მტრედის,
ზღვის ქავლს შევთხოვ, გეტყვის ბანსა
და მეც, ჩემო, მთლად გაგიმხელ
ამა სოფლის კაეშანსა!..

იქ ყვავილნი ნარნარობენ,
პირ-მცინარე მთვარის სხივზე
და „ქალები ბუჩქნარობენ“,
ნიავის წყნარ მოძ ხილზე!..
ნეტავ-ნისლი არ ჩამოწვეს,

ცამ პირი არ მოიქუშოს;
ღრუბელი არ აირიოს
და სეტყვა არ წამოუშოს!
შენ ნაზი ხარ, სულთა დგმაო,
ჯერ უცდელი, ჭირს უჩვევი!
ზღვის ნაპირას არ მსურს გნახო,
ჩემს გულ-მკერდზე ცრემლის მფრქვევი!..
მაშ წამომყე .. შუაღამეს, —
მივესალმობთ ერთათ ზღვის პირს;
ჩემსას გეტყვი, შენი მითხარ,
ნუ დაფარავთ ჩვენს გულის ჭირს!..

II

ხმირ ტყეში ვარ.. ვაჰმე, ბედკრულს!
ჯოჯოხეთად დამცქერს ღამე!..
შენს ძებნაში, ჰა, სად მოვხვდი!?
სულთა დგმაო! ხმა, ხმა მამე!..
ველსა ამკობს იაღონი,
შორით მესმის მის ძახილი;
წარმიტაცა გული, გრძობა,
მომკლა, მისი ვარ ტყვე-ქმნილი;
სიცოცხლის დღეთ სანუგეშოთ,
კმარის ჩემთვის ეს სიამე...
მაგრამ ვაჰმე, უშენოსა!
სულთა დგმაო, ხმა, ხმა მამე!...

გული მოკვდეს!- შენთვის სტირის!
კლდეს შესტირის, ღრეს შესტირის;
მაგრამ ირგვლივ წყვილია
და ცას სახე ჩამოსტირის!..
ვაიმე, თუ ვეღარ გნახო,
ჩემო მულმივ სასურველო,
და სიკვდილშიც ვივაგლახო,
შენთვის, გულით განუყრელო!..
მთვარე, გვედრი, გაანათე,
გადიყარე ღრუბელთ გროვა,
თვარა მომკლა კაეშანმა,
სევდამ გულში ჩამოთოვა!..
ცხოვრების გზის მაცისკროვნედ,
ყველა თითო რამეს სახავს
და თუ იგი დაეკარგა—
უჯობს, ნულა იცოცხლებს თავს!..
ჩემთა დღეთა შენ მინათდი,
ჩემს ზეცაზე ღრუბელს ჰკლავდი;
სევდა მძლევედა,—შენ დასძლიე,
შეუბოვრად გაუძეკლავდი!..
ვაჰმე! ახლა ვეღარ გხედავ,
ჯოჯოხეთათ დამცქერს ღამე!..
სად მოგნახო, სად ხარ, სადა?!
სულთა დგმაო! ხმა, ხმა მამე!..

ბ. ახოსპირელი.

შავი მიხა

(გაგრძ. იხ. „სხივი“ № 1).

II

ქალაქი სმაქამეთი, გაშლილ ვაკე ადგილზე იყო გაშენებული. მთელ მხარეში ის ერთ უმთავრეს ქალაქათ ითვლებოდა. განიერ ფართე ქუჩებს აქეთ იქიდან მედიდურათ გადმოჰყურებდნენ უზარმაზარი სახლები. როგორც ყოველგან, აქაც სცხოვრობდნენ ადამიანები, როგორც ყოველგან, აქაც მჭიდროთ დაესადგურებია მხიარულებას და სიმწუხარეს, ბატონობას და მონობას, საცილს და ტირილს, სიმძღვრეს და შიმშილს ზოგი, ცხოვრებით გალაღებული ტკბებოდა სიცოცხლათ, ზოგი კი ბედისაგან განაწირი სწყევლიდა თავის გაჩენის დღეს. როგორც ყოველგან, აქაც დილიდან საღამომდე შეუწყვეტელი მოძრაობა იყო, ხალხი ფუსფუსებდა. შური, მტრობა, ლალატი და ჭორიკანობა, როგორც ყოველგან, აქაც მაგრათ იყო ფეხგადგმული. ბატონობას, დაჩაგრვა დამონვებას და ადამიანთა ღირსება უფლებათა ფეხქვეშ გათელვას აქაც დიდი გასავალი ქონდა. ერთნი ლაღათ, უზრუნველათ სცხოვრობდნენ, მეორენი მუდამ შრომაში, მუდამ გაჭირვებაში ლევდნენ სულს. ცხოვრება, ჩვეულებრივ, განსაკუთრებულ კალაპოტში მიმდინარეობდა. უზარმაზარ სახლებში სცხოვრობდნენ გალაღებული ადამიანები, ხშირ-ხშირათ იღებოდა ამ სახლების კარები და იქიდან გამოდიოდნენ მსუქანი კმაყოფილი სახის ადამიანები და მდიდარ ეტლით აქეთ იქით დაფრინავდნენ, რომ გართულიყვენ და მცტი სიამოვნება ეგრძნოთ. ასე მიდიოდა დღეები. არა ჩვეულებრივი თითქოს აქ არაფერი იყო. თითქოს ყველაფერი ნორმალურ იყო. ყოველ დღიურ ცხოვრებას არაფერი არ არღვევდა.

მაგრამ დაკვირვებული თვალი ადვილათ შეამჩნევდა ერთ არა ნორმალურ მოვლენას. მთელი დღეები ისე მიდიოდა, რომ ერთ ქუჩაზე მაღალ ორ სართულიან სახლის კარები ერთხელაც არ გაიღებოდა. სარკმლებზე შავი, სქელი ფარდები იყო ჩამოფარებული. თითქოს ეს სახლი საზოგადო ცხოვრებაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა, თითქო იქ ცოცხალი ადამიანები არ სცხოვრებდნენ, მაგრამ, რომ კარგათ დაკვირვებოდათ სულ სხვას დაინახავდით. იმ დროს, როდესაც ყველა სახლის კარები იკეტებოდა და მცხოვრებნი ტკბილს ძილს ეძლეოდნენ, ამ სახლში მაშინ იწყებ-

ბდა სიცოცხლე. დაღამდებოდა თუ არა ამ სახლის უკანა კარებში წამ და უწყუმ შედიოდნენ რაღაც შავი აჩრდილები. ფრთხილათ აღებდნენ კარებს და ისევ ფრთხილათ კეტავდნენ. ამ საიდუმლო სახლიდან მთელ ქალაქში აუარებელი ჯადოსნური ქსელები იყო გაბმული და ამ ქსელების წყალობით ამ სახლის მცხოვრებლებმა მთელი ქალაქის მცხოვრებთა ყოველ-დღიური ცხოვრება მამაო ჩვენოსავით იცოდნენ.

ამ საღამოს ამ ჯადოსნურ სახლის ერთ ოთახში, მაგიდას უჯდა სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი კაცი და პაპაროს ძალზე აბოლებდა, სახეზე რაღაც მოუთმენლობა ეტყობოდა, მოტვეპლილი თავი, გრძელი ცხვირი და კატასავით ქრელი თვალევი, უსიამოვნო შეხედულობის აძლევდნენ მისს სახეს. ის მაღა მალ კარებისკენ იხედებოდა, თითქოს ელოდა ვიღაცას, ეს სამხედრო პირი ამ სახლის უფროსი იყო. ჩეორე ოთახში შავი აჩრდილები ფუსფუსებდნენ.

— ბერკეტა!.. გაისმა უცბათ უფროსის ხმა.

უფროსის წინ მსწრაფლ დაიბადა ერთი აჩრდილი. მწვანე კიზიროკიანი ქუდი მოიშვლიბა და მოკრძალებით მის წინ გაჩერდა საზარელი სანახავი იყო, ეს კაცის მაგვარი არსება. პირველ შეხედვაზე ვერ გაარჩევდით თქვენ წინ მაიმუნი იდგა თუ ადამიანი. გრძელი, პატარა თავი, ვიწრო შუბლი, გომბიოსავით გადმოკარკლული თვალევი, დაღმეკილი პირის სახე და მონგრეული ცხვირი— ასეთი იყო ამ შავი აჩრდილის სახის მოხაზულობა. მისი ერთი შეხედვა ადამიანში უზომო ზიზღს იწვევდა.

— რას გვიბრძანებთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ გველივით დაისისინა შავმა აჩრდილმა და მოკრძალების ნიშნათ თვალევი დანახა.

— განა არ იცი რაც უნდა გიბრძანო? აბა ჩქარა მომიყვივი რა გავე დღეს!

აჩრდილმა თვალევი რამდენჯერმე უცნაურათ აათამაშა, გამშრალ ტუჩებზე ენა მისი მოისვია, ჩახველა და დაწყა:

— მე, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, როგორც მიბრძანეთ მთელი დღე იმ სახლის ვდარაჯობდი. ის ყმაწვილი, რომელზედაც თქვენ მიბრძანეთ იქ სცხოვრობს. სახლიდან დილის ათ საათზე გამოვიდა, ეტყობა ძალიან ფრთხილია, როცა სახლიდან გამოდის აქეთ იქით აკვირდება, ხომ მიყურებსო და ისე მიდის. მე კარგათ დავაკვირდი შავი თმა და წვერი, მოგრძო ცხვირი და შავი თვალევი აქვს. ნელი სიარული იცის, გვარიც გავიგე, გენძეხაძეა. ავედევნე უკან და გავიგე სადაც

დადის, მთელი დღის განმავლობაში მასთან ორი კაცი და ერთი ქალი მოვიდა, მათი ბინებიც გავიგე და ჩენს ამხანაგებსაც გავაცანი.

— ყოჩაღ! კარგი წადი! თუ რამე ხეირი იქნა ჯილდოს მიიღებ.

ბერკეტამ მდებლათ თავი დაუკრა მეტის სიამოვნებისაგან პირი გააცმაცუნა და საჩქაროთ ფეხაკრებით გავიდა მეორე ოთახში.

უფროსმა რაღაც დასწერა ქალაღზე.

— ცინგლია! — გაისმა ისევ მისი რიხიანი ხმა.

ოთახში მეორე აჩრდილი შემოიჭრა, ის კიდევ უფრო უარესი შეხედულობისა იყო. დაბალი, პირის სახე ყვავილისაგან სულ დაქმული ქონდა, პატარა თვალები საღვაც შორს შემძვრალიყვენ თავის ქალაში და იქიდან გველივით გამოაყურებოდნენ, ბექებში ჩამძვრალ კისერზე წითელი თმით შემოსილი უშნოთ გაგრძელებული თავი, პირველ შეხედვაზედვე გულს აგირგვდა ადამიანს. ის ვერხვის ფოთოლივით თრთოდა უფროსის წინაშე.

— გაიგე რამე?

— მე, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ჩახრანწიანებული ხმით დაიწყო მან და პირიდან საშინელი არყის სუნი ამოუვიდა. უფროსმა იგრძნო ეს და პირი მიიბრუნა. — მთელი დღე იმ ქალს დავსდევდი, დღეს დილით ჩაჯდა ტრამვაის ვაგონში და საღვაც გასწია, მეც გვერდით მოვუჯექე, მას არაფერი გაუგია, მივყე ერთ სახლამდე, ის შევიდა ამ სახლში. იქ დაჰყო მთელი ორი საათი, როგორც გავიგე იმ სახლში ცხოვრობს ორი ახალგაზდა, ცნობილი რევოლიუციონერი. დიდი ლოდინის შემდეგ სამნივე გამოვიდნენ და გასწიეს, მე გულის ფანცქალით ავედევნე. ვიარეთ კარგა ხანს, ბოლოს ერთ სახლში შევიდნენ, დაღამებამდე იქ ვდარაჯობდი უქმელ უსმელი. საღამოზე შევამჩნიე, რომ ამ სახლიდან სათითაოთ რამდენიმე ქალი და კაცი გამოვიდა, სულ ხუთმეტამდე დავსთვალე, დავრწმუნდი, რომ იქ რაღაც დიდი კრება ქონდათ.

უფროსს სიბრაზისაგან დორბლი მოადგა პირზე.

— მერე რატომ მაშინვე არ გამოიქეც და არ შეგვატყობინე? რატომ გუშვი ხელიდან ასეთი შემთხვევა? დაიკარგე აქედან! — დაუყვირა უფროსმა და სიბრაზისაგან თითებს დაუწყო მტვრევა.

ცინგლია გულდაწყვეტილი გაიბარა მეორე ოთახში.

უფროსი წამოდგა და ბოლოთი ცემა დაიწყო.

— ფილთაქვა! — გაისმა ცოტა ხნის შემდეგ მისი მრისხანე ხმა.

მის წინ მესამე აჩრდილი დაიბადა.

— რა გაიგე?

ფილთაქვა კანკალმაა აიტანა, პირი გაუშრა და საცოდავთ ტუჩები ააცმაცუნა, ულახათოთ თავის ქნევა დაიწყო და თავს ძალას ატანდა, რომ ნერწყვი ეშოვნა და გამშრალი ენა გაესველებია. უფროსი გაანჩხლდა.

— რატომ არაფერს ამბობ?

— მე... თქვენო... მაღალკეთილშობილებავ, — ძლივს დაიწყო მან — წავედი იქ, საღვაც თქვენ მიბრძანეთ და გავჩერდი იმ სახლთან საღვაც კრება უნდა მომხდარიყო. საღამო ხანს მოვიდა რამდენიმე კაცი. ყურადღება მომაქციეს. უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდი წისვლა შეუძლებელი იყო. მოსულები შეჩერდნენ და ჩემსკენ დაიწყეს ყურება; ეტყობოდათ ჩემზე ლაპარაკობდნენ. შიშის ზარმა ამიტანა. ბოლოს ორი მათგანი ჩემსკენ წამოვიდა მინდოდა გვექცეულიყავ მაგრამ გვიანდა იყო. მოვიდნენ ახლოს და ერთმა მათგანმა მრისხანეთ ამხედ დამხედა და მკითხა „აქ ვის უცდი“ო მე შიშისაგან ენა ჩამივარდა, ელვის უსწრფეს ორივე მეცა, წამაქციეს და უწყალოთ დამიწყეს ცემა. მინდოდა დამეყვირა, მაგრამ ველარ მოვასწარ, რადგან ერთმა მათგანმა მაგრათ ჩაქცა ფეხი კბილებში და კინაღამ ყველა კბილები ჩამამტვრია. გრძობა დავკარგე. როცა გონს მოვედი, იქ არავინ იყო უკვე ყველანი წასულიყვენ, რაღას ვიზამდი, ძლივს ძლივოთ წამოვდექი და წამოვედი. — დაათვა მან და თვალები საცოდავთ უფროსს მიაშტერა.

— დაიკარგე აქედან შე სალახანავ! — დასწყვივლა მოთმინებიდან გამოსულმა უფროსმა და თავზერდაცული ფილთაქვა კინწის კვრით მეორე ოთახში გააგდო.

მან გაბრაზებით წინ და უკან სიარული დაიწყო, თან უშვერის სიტყვებით ილანძღებოდა.

— დუნჩა!

მის წინ მეოთხე აჩრდილი გაჩნდა. მის უშნო სახეზე რაღაც სიამოვნების ღიმი კრთოდა.

— რა ქენი! მრისხანეთ შეეკითხა უფროსი.

— ყველაფერი, რაც დამავალეთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ.

— გაიგე სად დადის?

— გაიგე, თქვენო მაღალკეთილშობილებავ. მთელი დღე უკან დავსდევდი. საღვაც გადასდგამდა ფეხს მეც იქ გავუჩნდებოდი. ვისაც შეხვთა გზაში ყველას სახე დავინსომე, ბოლოს შევიდა ერთ სახლში ყველაფერი აწეროლი მაქვს ვინ დადის მასთან ან ის ვისთან დადის. ინებეთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ — მოკრძალებით უთხრა მან და ქა-

ღალღის პატარა ნაქერი გადასცა, უფროსმა გამო-
ართვა, გადიკითხა და სიამოვნებით გაიღიმა.

— ყოჩაღ! ყოჩაღ! ჩემო ღუნჩა! ამისთვის
შენ ჩემგან კერძოთ საჩუქრის ღირსი ხარ უთხრა
მან და ჟილეტის ჯიბიდან სამ მანეთიანი ამოიღო
და გადაუგდო.

ღუნჩამ მსწრაფლათ ხელი დასტაცა.

— ეხლა კი წადი.

ღუნჩამ მდებლათ თავი დაუკრა და მეორე
ოთახში გავიდა.

უფროსმა წინ და უკან სიარული დაიწყო,
ის ვილასაც მოუთმენლათ ელოდა, ხშირ ხში-
რათ კარებისკენ იხედებოდა.

არ გასულა ამას შემდეგ ნახევარი საათი, რომ
ალაყათის კარებს ვილაცა კაცი მოადგა, ის ქურ-
დულათ შემოვიდა ეზოში, შეუმჩნევლათ გააღო
კარები და იქ მყოფთ არც კი გაუგიათ ისე შევი-
და ოთახში. გარეთ თუმცა ბნელოდა, მაგრამ ის
სიბნელეშიაც კარგათ ამჩნევდა გზას. ეტყობოდა
ამ გზით და ამ დროს არა ერთხელ გაეფლო, რო-
ცა ის მეორე ოთახისკენ წავიდა აჩრდილებმა მხო-
ლოდ მაშინ შეამჩნიეს და თითქმის ერთხმათ წა-
მოიძახეს.

— ბარონი! ბარონი!

ამ ხმაზე უფროსი შეკრთა, შემობრუნდა და
რა დაინახა ახალ მოსული გამოექანა მისკენ.

— აა, ბარონ! ბარონ! თქვენს ლოდინში
ლამის გული წამივიდეს, მობრძანდი, დაბრძანდი.
მიიწვია ის იქვე მაგიდასთან სკამზე. ახალ მოსულს
გრძელი, ბეწვის მაღალ საყელოიანი პალტო ეცვა,
თავზე დიდი ტყავის ქუდი ეხურა, ასე რომ სახეს
ვერც კი შეამჩნევდით, ის დაჯდა სკამზე, ქუდი
მოიხადა და პალტოს საყელო გადმოკეცა.

ის ნამდვილი სატანა იყო, მის სახეს ნამდვი-
ლი ჯოჯოხეთური შეხედულობა ქონდა, მოვლვარე
თვალეები გველის თვალებივით ციმციმებდენ, შუ-
ბლი თითქო დაპატარვებოდა, წვერ-ულვაში გაბურ-
ძვნიოდა და პირზე გესლით სავსე ღიმილი უკრთო-
და.

უფროსი გაბრწყინებული თვალეებით მიაშტე-
რდა მას და მოუთმენლათ ელოდა, როდის იტყო-
და სანატრელ სიტყვებს.

— ბარონ! ბარონ!—აღელვებული ხმით დაი-
წყო უფროსმა—რომ იცოდეთ რა სამსახურს უწევთ
თქვენ მთელ ქვეყანას! მთელი ჩვენი იმედი თქენ-
ზეა დამყარებული! თქენ ხართ ჩვენი სიცოცხ-
ლის ქვა-კუთხედი. თქვენით ვსულდგულობთ.

— აბა რა სათქმელია, მე სიმართლე გითხა-
რათ ჩემს პირდაპირ მოვალეებათ ვსთვლი ასე მო-

ვიქცე. თუმცა დიდ საფრთხეში ვარ ჩავარდნილი
და შეიძლება სიცოცხლეც გავწირო, მაგრამ ჩემი
ფრთ ჩავაგდებ.

— უფროსს თვალეები აეცრემლა მეტის სია-
მოვნებისაგან.

— ბარონ! ბარონ! ველოდები, როდის ამე-
ტყველდებიან ბაგენი თქვენი და გვაცნობენ ფრად
სასიამოვნო ამბავს.

ის კატასავით შეაჩერდა პირში.

უცნობმა აქეთ-იქით მიიხედა და ახლოს
მივიდა უფროსთან.

ერთს წუთს შეჩერდა, თვალეები ფართეთ დაა-
ლო, შუბლის ძარღვები დაეჭიბა, უფროსს, თითქო
მისი შეჭმა უნდაო, ისე ჩააშტერდა თვალეებში და
გადაჭრით წარმოსთქვა.

— ხვალ დავიჭერთ ექვს, ცნობილ რევოლიუ-
ციონერს.

უფროსმა პირი დააღო, ის ყურებს არ უჯე-
რებდა.

— როგორ?!

— საქმე მოვაწყვე. სწორეთ იმ ქუჩაზე იქნე-
ბიან, სადაც ამას წინათ დავიჭირეთ სხვები. ორი
იქნება მუშის ტანისამოსში კურტნებით, ორი კინ-
ტოს ტანისამოსში თაბახებით, ერთი ქალი იქვე ახ-
ლოს იქნება და ერთიც სახლიდან გამოვა. თან
ყუმბარები და რევოლვერები ექნებათ. დაჭერა ერთთ
და იმავე დროს უნდა მოხდეს, რომ იარაღი არ
იხმარონ. აი ყველაფერი.

— თქვენი ჭირიმე, ბარონ! თქვენი—სიხარუ-
ლით წამოიძახა უფროსმა და გრძნობით გადაეხეცა
უცნობს.

მათ ერთმანეთი გაკოცნეს.

შემდეგ ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს
თითქო ზომავდენ ერთმანეთს უცბათ ოთახში გაის-
მა ჯოჯოხეთური ხიხითი—ხა, ხა, ხა, ხა!

ეს ბარონი გახლდათ შავი მიხა.

მას ამ სახლში მეორე სახელათ ბარონს ეძახ-
დენ.

ის მსწრაფლ ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან
და გაქრა სიბნელეში.

(დასასრული იქნება).

ირეთელი.

ღამსხვრეული სიყვარული.

I.

სალამოა დიადი
მზე შუქის გამომცემი,
დასავლეთით მიცურავს,
ვით ზღვაში ოქროს გემი.

ვარდის ფერათ ელვარებს
 ლაჟვარდი ცის კიდური
 ბუნების დიდ სარკეში—
 ზღვის გულში ჩახატული.
 ზღვის პირათ გაწლილ ბაღში
 რბილს და ზურმუხტ მდებლობზე,
 ზის ვახტანგი და ფიქრობს
 გულის სატრფიალოზე.
 სატფოს უცდის, მოელის,
 მაგრამ არ სჩანს ღვთაება
 და ფრთა ჭრელი ოცნება
 მისკენ ეპატიჟება:

„ვახტანგ! ფრთები გაშალე,
 გამოფრინდი ჩემთანა,
 მსურს გაჩვენო წარმტაცი
 საოცნებო ქვეყანა,
 შენი სატრფოც იქ არის,
 პირბადრი, მშვენიერი,
 დაკჳრიალობს, დახტუნავს
 ლალი და ბედნიერი.

ვახტანგი.

რას აკეთებს?

ოცნება.

ყვავილებს
 კრეფს და კონავს თაიგულს,
 თან შიგ აქსოვს, აქარგავს
 წრფელს და უკვდავს სიყვარულს.

ვახტანგი.

ვის უმზადებს ნეტავი,
 ვისთვის უნდა ის ძღვენი?

ოცნება.

შენთვის, რომ მით დაგიტკბოს
 მოკლე სიცოცხლის დღენი.

ვახტანგი.

ჩემთვის? ახ, ნეტარებავ!..
 მაშ გამიძელ, მოგყვები
 და ჩემს სალოცავ ხატსა
 გულ-მკერდში ჩავეკრები!
 და მიფრინავს... იმის წინ
 იღება ნელა კარი
 და იშლება წალკოტი
 სამოთხის დასაღარი.

ვარდი ვარდს ეკონება
 გვრიხება ვაზს ვაზი,
 ყვავილი ყვავილს კოცნის
 მომხიბლავი და ნაზი.
 მათ შორის ცივი წყარო
 მოჩქრიალებს ანკარა,
 შხეფებით რწყავს მიდამოს,

ეპკურება ცვარ-ცვარა.
 თავს ადგია ელენა
 ყვავილებით შემკული,
 ბროლის თითებს უშვენებს
 ლამაზი თაიგული.
 ხედავს და აღტაცებით
 ხელ-გაშლილი ეხვევა,
 მაგრამ ჭრება ოცნება...
 მწუხარებას ეძლევა.
 სწყევლის მაცდურ ოცნებას,
 მწარეთ მოტყუებულს
 ძირს ეშვება მდუმარე,
 უკვნეს სული და გული.

II.

სარკმელთან ზის ელენე
 წერწტი, ვით ალვის ხე,
 თვალზე ცრემლი ერევა,
 მოღრუბლული აქვს სახე.
 თვალ წინ უდგას მიჯნური
 უღვაშ აკოკრებული,
 ვისაც მისცა, მიანდო
 თვისი სული და გული.
 უნდა მასთან რომ იყოს,
 ეკონებოდეს გულში
 და დროსა ატარებდეს
 ალერსში, სიხარულში.
 უნდა, მაგრამ ვერ მიდის,
 მშობელი აგონდება,
 რომელიც კარზე მცველათ
 უდგას და ემუქრება.
 აგონდება და შფოთავს,
 მწარეთ უკვნესის სული,
 და უკანასკნელ ღონეს
 იკრეფს, თავ-განწირული.
 სარკმელს ადებს, მიძვრება,
 გარბის ფეხ-აკრეფილი
 იქ, სადაც ეგულება
 მიჯნური სულზე ტკბილი.

III.

„ახ, სად იყავ ამდენ ხანს,
 ყვავილო ჩემის გულის,
 მიზეზო მწუხარების,
 მიზეზო სიხარულისა!“
 შესძახის აღტაცებით
 ვახტანგ და თან ეხვევა,
 ლამაზ თვალებს უკოცნის,
 აღმაფრენას ეძლევა.—

„ნავი უკვე მზათა მყავს,
 მხოლოდ და შენ გიცდიდი
 და შენც რაკი, სულიკო,
 მოცქრიადი, მოფრინდი,
 მაშ გავესწიოთ, გაფრინდეთ,
 დაფადლოთ ჩვენი მხარე,
 ვნახოთ უცხო ქვეყანა
 და უცხო არე-მარე.
 სადაც ვერ დაგვიშლიან
 თავისუფლათ სიყვარულს,
 ბედნიერათ ვიცხოვრებთ,
 მივეცემით სიხარულს.
 —ჯოჯობეთშიც შენთან ვარ,
 ელენე ეუბნება,—
 სადაც გასურს წამიყვანე,
 ასრულდეს შენი ნება.
 და, როგორც უსურვაზი,
 გულ-მკერდში ეკონება
 და ვარდი ნაზ-კოკობი
 თან-და თან იფურჩქნება.

IV,

ნავში ჩასხდენ. ზვირთებში
 მიცურავენ ნელ-ნელა.
 ღამეა მშვიდი, წყნარი,
 ზღვის გულში მეტათ ბნელა.
 მოკრიალებულ ცაზე
 ციმციმებს ვარსკვლავთ კრება,
 მათშორის ბადრი მთვარე,
 როგორც ქურდი, დაძვრება.
 შორს სადღაც ბუჩქნარებში,
 სადაც ყვავის სუმბული,
 ჩანგს აუღერებს ხმა ტკბილათ
 მოხიბლული ბუღბული.
 და ჩვენს შეყვარებულებს
 უტკობს ყურთა სმენასა
 და ისინიც ხარობენ,
 ეძლევიან ღებენასა.
 მღერიან: „სიყვარული
 უკვდავია მარადო,
 ზეცით მოვლინებული
 გულის გასახარათო!
 ვის გულშიც აინთება,
 როგორც მზე და მთვარეო
 ვერ დაძლევს მწუხარება,
 და ნადველი მწარეო!“

V

ღღე ღამეს მისდევს,
 ღღეს—ღამე ბნელი,
 თვე თვეს მიყვება,

სრულდება წელი.
 და ჩვენი გმირნი
 მეგობრულათა
 ცხოვრობენ ერთათ
 ღარიბულათა.
 თუ რამ ებადათ
 წინეთ ნახვეჭი
 უკვე გაყიდეს
 ნივთი, ავეჯი.
 არ გააჩნიათ
 აწ არაფერი
 ტანთ არ აცვიათ
 რა შესაფერი.
 ხშირათ ორივე
 მშიერ-მწყურვალე
 სხედან ოთახში
 მუნჯებრ მდუმარე.
 საქმეს ეძებენ,
 მაგრამ სად არი?
 და ვაგლახობენ
 სევდით გულ-მკვდარი.
 მათ გაჭივრებას
 იღეიური
 სხვა და სხვაობაც
 ზეთ ერთვის კრული.

VI

კვლავ გადის ხანი.
 უთანხმოება
 ორივეს გულში
 ნელ-ნელ იზრდება.
 ხშირათ ერთმანეთს
 ლანძღავენ, გმობენ,
 უხამს სიტყვებით
 ასე ამკობენ.

ელენე.

თუ არ შეგეძლო
 შენ ჩემი რჩენა,
 რათ მომატყვილე?..
 გაგიხმეს ენა!

ვახტანგი.

მე რაეიცოდი
 ცხოვრება მწარე
 იგრე დაგვსჯიდა,
 შე ქკუა მდარე!

ელენე.

„ქკუა მდარეო“
 შენ ვის უბედავ?!
 აგი რა მესმის!!
 ამას რას ვხედავ!!

ის არ მეყოფა
 რაც დღე მადგია
 შენის წყალობით,
 შე დოყლაპია?
 ახლა კიდევაც
 მლანძღავ, მაგინებ?!
 ოხ, ცაო, რატომ
 არ დაიგრვინებ
 და არ ჩამიტან
 თანვე ჯურღმულში
 რომ მოვისვენო
 შავ მიწის გულში!

ვახტანგი.

ამინ! გისმინოს
 ზეცამ ვედრება,
 მეც მოვისვენო
 შემდეგ ეგება...
 ასე, ამგვართ
 ჩხუბობენ მარად
 და ცხარე ცრემლებს
 აქტევენ ღვართ.

VII

და სიყვარულის
 ნაცვლათ მათ გულში
 კაემნიაში

სევდით მოცულში,—
 ფეხსა იკიდებს
 ზიზლი წყეული
 და მწარეთ კენესენ,
 როგორც ეული:
 „ოხ, ვინ მოგიხმო,
 ზიზლო, ჩვენთანა?
 ვინ მოგცა ხელში
 ეგ ბასრი დანა?
 რისთვის ჩაგვიკალო
 გულს სიხარული?
 რისთვის მოგვტაცე
 ჩვენ სიყვარული?“

ზიზლი.

მე არ მაქვს ბრალი.
 მიზეზი არი
 სიცივე-შიმშილი
 ის საზიზლარი.
 მე მათ მომგზავნეს
 და დამავალეს:
 დაგიღრღნათ გული,
 როგორც ჭიამ ხეს.

სიცივე-შიმშილი.

ჩვენ ერთათ ვმეფობთ,

ერთი გვაქვს ძალი,
 დავფრინავთ, დავგაქს
 შხამი, სამსალი.

ვისაც ვეწვევიო,
 გავანადგურებთ,
 მის გულში ზიზლსა
 დავსადგურებთ.
 გაფუქრობთ სხივსა
 სიხარულისას,
 დავუქკნობთ ყვაივლს
 სიყვარულისას!..
 უგდებენ რა ყურს
 იდუმალ ხმასა,
 სწყევლიან თავის
 გაჩენის წამსა.
 გაყრა სურთ, მაგრამ
 ვერ იყრებიან:
 საზოგადო აზრს
 ერიდებიან!

ვ. რუხაძე.

დიღა.

(დასასრული, იხ „სხ.“ № 1)

ხანმა გაიარა, დრო გამოიცვალა, თან გულ-
 ში ჩაიხვია ჩემი სანეტარი, ტკბილი ბავშვობა.
 დავაეჭვადი. მსოფლ-შხედველობა, გონებრივი ჰო-
 რიზონტი გამიფართოვდა, აზროვნობა ვალრმავდა.
 ძარღვებში სისხლი აჩქეფდა, აჩუხჩუხდა; ოცნე-
 ბა, სანეტარო ოცნებამ ფრთა გაშალა; ყველაფე-
 რი ფერადი, ნათელი სხივებით შეიმკო, შეიმო-
 სა,—მზემ სხვაფრივ იწყო ბრჭყვრიალი, სიცოცხლე
 გატკბა, გამშვენებდა, აყვავდა...

მაგრამ, ამ დროს უცბათ დამიბნელდა მზე,
 მენი დამეკა; გულში რაღაც სასიცოცხლო ულ-
 მობელათ ჩაწყდა...

ახლაც თვალ წინ მიდგია დაზალი, ნესტიანი,
 ღარიბი ოთახი, ღარბული მოწყობილობით. პატა-
 რა, დანჯღრეულ ტახტზე ლოგინში მძიმე ავათ-
 მყოფი, საყვარელი დედა იწვა და მძიმედ სუნთქა-
 ვდა. გაწამებული, გამდნარი, გაყვითლებული სახე
 და ზღვა-სიყვარულით აღსავსე, შეწუხებული
 შავი თვალები ეღვასებრ შემომნათოდენ. იქვე
 გაყინულ სამზარეულოს ნახევარათ ღია კარებიდან
 წყეული, სარეცხის ვარცხლი, მიზეზი დედიჩემის
 დაავადებისა, პირქუშათ და საზარლათ გამოიციქი-
 რებოდა. დედის წინ დაჩოქილი მწარეთ, მწარეთ
 ვქვითქვითებდი... ყრუ, ბუნდოვანი წინა-გრძნობა
 მომავალ უბედურებისა გველსავით გულს მიღრ-

ღრნიდა, მიღაგავდა. დედის დამდნარი, გაძვალ-
ტყავებული თითებო კი ჩემ თმაში ჩაფლულიყვენ
და ნახათ, საყვარლათ მიღერსებდენ. „ნუსტირი,
ნუსტირი, შვილო, მოვრჩები; შენ წადი ისევ,
წადი ისწავლე, ისწავლე“. ნელის ხმით ძლივს
გასაგონათ ჩამჩურჩულებდა მომაკვდავი დედა, და
მომაკვდავ მკერდიდან მიგლეჯავდა და კვლავ
შორს, შორს სასწავლებლისაკენ მიმიწოდებდა.
მახსოვს უკანასკნელი, სამუდამოთ გამოსაშვიდებე-
ლი მხურვალე კოცნაც საყვარელი დედისა, რო-
მელმაც შვლებს სწავლებას თავი ანაცვალა,
სიცოცხლე შესწირა. ცხელ ტუჩებზე დიდ ხანს
დავეკონე, დავეწაფე. თბილათ, ტკბალათ აღბე-
ჭდილი. მომაკვდავ დედის უკანასკნელი კოცნა
ცივ ქუჩაშიც ტუჩებზე საგრძნობლათ მიელვარებ
და გახურებულს შუბლს ყინულივით ცივი ნიავი
მიგრძობდა. მტკიცე ნაბიჯით მივბიჯებდი, იქავ
ახლოს ნაღვლიანათ მოღუდუნე მტკვარი კი რა-
ღაცა სამგლოვიარო ამბავს გულ-საკლავათ მიბუტ-
ბუტებდა...

„ისწავლოს, არ მოაუკდინოთ“, აი უკანასკნე-
ლი ლულული, უკანასკნელი ამოძახილი და ან-
დ რძი სულთ-მობრძავ დედისა. როქელიც უჩე-
მოთ ჩაებარებიათ შავი საფლავისთვის.

დაუჯერებელმა უბედურებამ ახალგაზრდა, ყრმა
გული შეუბრალებლათ დაგლიჯა, შხამ-გესლით
მორწყა, მწარეთ დ სერა, დააწყლოლა. დედა ჩვე-
ულებრივის მშობლიურის სიხარულით აღარ გად-
მომეგება. დაცარიელებული; დამგლოვიარებული
კერა ნაღვლიანათ, გულის მომწყვლელათ შემომ-
ტქეროდა. გულს ახლაც კი არა სწამს, არა სწამს
თუ დედა, საყვარელი დედა მართლა დამეკარგა.
ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ ის ცოცხალი,
ნამდვილათ ცოცხალი ამოაფარეს ცივს ლოდს, თო-
რემ დედა ჩემი, როგორ მოკვდებოდა; რათ მოკვ-
დებოდა? გულ-წრფელათ მჯეროდა, რომ დედა, იქ
ცივ და ბნელ სამარეში, თავისებურათ ლეჩაქ-ყურ-
გადადებული, ცოცხალი იწვასულ-შეგუბებული, გა-
შეწუხებული. გული დაჭრილ ფრინველსავით თავგა-
ნწირულათ ფრთხილობდა, იწოდა, იღაგოდა, კვნე-
სოდა... გულით მინდოდა, მწყუროდა, რომ საქვე-
ყნოთ მეყვირა, ყველასათვის გამეგებინებინა, ყვე-
ლანი დამერწმუნებანა, რომ დედა ჩემი იქ, სამა-
რეში ცოცხალია, რომ დაუყოვნებლივ საჭიროა
სამარის ამოთხრა, დედა ჩემის ამოყვანა, ტყვეო-
ბიდან განთავისუფლება.. მაგრამ, მაგრამ ჩემი ხმა
უდაბნოში ინთქოდა, იკარგებოდა, ჩემს გულის
გამგმირავ ამოძახილზე მწარეთ, მწარეთ იღიმე-
ბოდენ, დაფლეთილ გულს გესლით მიფუფქავდენ.

მაგრამ არა, ამას რას ვამბობ, დედა-ჩემი არ მომ-
კვდარა. ის უკვდავია, უკვდავია ჩემს გულში.
ის ცოცხალია, ცოცხალია მოჭირნახულე ჩემი მფა-
რველი დედა, ცოცხალია ის ჩემ დაავადებულ, და-
სევდიანებულ გულში...

დედავ, საყვარელო დედავ; რა ვიცოდი მე
მაშინ შენი დაუინებელი ჩაძახილი „ისწავლე“ ას
ფასი, მისი ღრმა და დაფარული აზრი. რა მესმოდა,
თუ რას ნიშნავდა შენი ტკბილი ნანასებური ღი-
ლინი დიდებულ შოთას დიდებულ ქნარიდან ნეს-
ტან-დარეჯან-ტარიელ-ავთანდ ლზე. რა ვიცოდი.
რა მესმოდა მე ცივ სასწავლებლის უგულო, უც-
ხო კედლებ მი უცხოთ გამოკვერილს, გამოქაზრა-
კებულს!?...

მხოლოდ ახლა, მხოლოდ ახლა მესმის, დედა,
შენი სიტყვა, ახლა მესმის დედა შენი თავ-განწი-
რული სულის-კვეთება, ახლა მესმის მთელი სიღრ-
მე, სიღიადე შენი უჩინარი, თავ-დადებულა მოღ-
ვაწეობისა ახლა მესმის, რათაც ჩამძახოდი: „-ს-
წავლე, ისწავლეს“. ს, მესმის, მესმის ეს გატაცე-
ბით რათ გიყვარდა შოთა, მისი, ვეფხვის-ტყაოსა-
ნი. მესმის, დედა, მესმის ყველა ეს და უფრო
მძლავრათ, უფრო ღრმათ მიყვარდები ჩემო დედავ,
ჩემო ღვთაებავ!..

ცხოველ-მყოფელო, ცოცხალო არ დილო სა
ნეტარო დედისავ!.. გვედრება, მუხლ-მოდრეკილი
გვედრები, კვლავაც ნუს მომაკლებ შენს მფარვე-
ლობას, შენს ტკბილ ჩაძახილს; კვლავაც გამით-
ბე, შენებრივ სიყვარულით გამითბე უკუღმარო
წუთი-სოფლისაგან გაჯოჯოხეთებული, გაწამებული
გული; კვლავაც გამინათე, ჩემო მაცოცხლებელო
მზევ. გამინათე და გამითბე ცივი, ბნელი, ოღრო-
ჩოდრო, ნარ-ეკლით დაფენილი გზა გულ-ქვა და
უსამართლო ცხოვრებისა. ჩემო იმედო, ჩემო ღვთა-
ებავ, დაშხამულ ცხოვრების ორონ-ტრიალში ჩა-
ვარდნილი, ქვემძრომთავან მწარეთ დაკბენილი და
გაწირული შავ უფსკრულს კიდურზე კვლავ ბეწ-
ვით გადაკიდული ზავშური შიშით აცახცახებული
და ხელებ-გაწვდილი მხურვალეთ გვედრები, გემუ-
დარებ : მოფრინდი, ჩემო დედავ, ჩემო ყველავ;
მოფრდი, შემგრაგნე, შემკონე შენ სანეტარო კა-
ლთაში, მაგრათ, მშობლიურათ მაგრათ ჩამიკარ ნე-
ტარებს გულ მკერდში და კვლავ გადამაქანე ამ
პირ-ღია, შავ უფსკრულის თავზე..

ს. პართენაშვილი.

ოლესიდან.

თენდება... ღამეს ფერი ელევა,
 ტყე შავათ მოსჩანს, იღვიძებს ველი.
 და სადაცაა ამოვა მზეცა,—
 ჩემი კი არა, ტყუილათ ველი...

უკანასკნელი გულს ჩაჰქრა სხივი,
 ღამე პატრონობს ქვეყნის ალამსა,
 და მნათობაცა პირმშვენიერი
 ცრემლებათ გზავნის ჩემსკენ სალამსა!

იასამანი.

მიმართვა.

სად ხარ, სადა გაზაფხულო,
 სატრფიალო, სანეტარო,
 ნორჩ სიცოცხლის ნაკადულო,
 პოეზიის წმინდა წყარო!

შენით სცოცხლობს დაჩაგრული,
 შენ გიგალობს ქებათ-ქებით,
 არათ უჩანს გულზე წყლული,
 ხარობს უკვდავ იმედებით!

უშენობით მთლად ქვეყანა
 დაემგზავსა ცოცხალ-მკვდარსა,
 წუხილია გარს ყველგანა,
 ნისლი ჰბურავს მთა და ბარსა!

ნაზარდ ტურფა ია ვარდებს;
 ჰსუსხავს, აქნობს მკაცრი ყინვა;
 გვიორკეცებს სევდა დარდებს,
 კრულ-ბუნების კვნესა გმინვა!

მაშ, მო მაშვრალთ გაზაფხულო,
 მზის სხივები მოგვაფინე;
 დატანჯულთა,—სიხარულო!—
 რა არს შვება!—გვაგარძნობინე!

გ. ქუჩიშვილი

რუსულ ახალ მფარლოზის ისტორია.

(გაგრძელება. იხ. „სხივი“ № 1).

მთელ სახელმწიფოში გამეფებული იყო თვით-
 ნებობა და მკვდარი ფორმალიზმი. ეკკლესია, რო-
 გორც ბაუროკრატიულ მანქანის ნაწილი საერო
 მთავრობის სრულ განკარგულებაში იყო. სარწმუ-
 ნოების თავისუფლების ხსენებაც არ იყო და ყო-
 ველივე საეკლესიო საკითხებს თვით მთავრობა
 სწყვეტდა საიდუმლოთ თავის კანცელარიებში. ხალ-
 ხი არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა საეკ-

კლესიო კითხვების გადაწყვეტაში. როსეთის ჯარი,
 მთელი ქვეყნის სიამაყე იყო ნაპოლეთონის მომების
 შექმნე მას უძღვევლათ სთვლიდენ, მაგრამ
 შიგნით გაუჩნდა იარები, რომლებიც დღითი დღე
 აუძღურებდენ მას. როგორც საზოგადოთ მთელი
 ხალხი, ჯარიც ბიუროკრატიის უკანტროლო მოქ-
 მედებით უსულო მანქანათ გადაიქცა. როგორც
 ყველგან აქაც ქალაქებზე ყველაფერი რიგზე იყო.
 ნამდვილათ კი გაუნათლებლობა და ყოველივე ინი-
 ციატივის უქონლობა ნებას არ აძლევდა მათ თვალ-
 ყური ედევნებიათ სამხედრო ტენიკისთვის და ყი-
 რიმის დამარცხებამ მწარე გაკვეთილი უჩვენა ბიურო-
 კრატისას. საგარეო პოლიტიკაში რუსეთი მთელს
 ევროპაში რეაქციის ქვაკუთხედი იყო. ყოველგან,
 სადაც კი იფეთქებდა რევოლიუციონური მოძრაო-
 ბა, რუსეთის ჯარი იქ ჩნდებოდა მის ჩასაქრობათ.
 ამ ხნიდან რუსეთმა დაიმსახურა ის სახელი, რომე-
 ლიც ევროპის საზოგადოებას მოწინავე ნაწილის
 თვალში ყოველი პროგრესის და პოლიტიკურ თა-
 ვისუფლების შემაფერხებელი იყო.

ჩვენ ქვეყანას დიდხანს უყურებდენ ისე, რო-
 გორც ევროპის კონსტიტუციის საფრთხობელას.
 რაც დღე გადიოდა რუსეთის წინააღმდეგ სიძულ-
 ვილო მტკიცე ნიადაგს პოულობდა, რაიც აშშკარათ
 გამოირკვა ყირიმის ომის დროს, როცა რუსეთის
 წინააღმდეგ წინანდელი მეგობრებიც კი ამხედრ-
 დენ. საზოგადოება ხელფენ-შეკრული იყო ისეთ
 რეჟიმის გამო და არაფრის გაკეთება არ შეეძლო.
 მას არაფერს არ კითხავდენ, ყველაფერს მის მაგი-
 ერ აკეთებდენ.

თუ მონტესკიეს მოძღვრებით მოქალაქეს უფ-
 ლება აქვს გააკეთოს ყველა ის, რასაც კანონი არ
 უკრძალავს, მაშინდელ ბიუროკრატიის პრინციპით
 მოქალაქეს აკრძალული აქვს ყველაფერი, რაზედაც
 სათანადო ნებართვა არ აქვს. სახალხო განათლე-
 ბის მინისტრმა გრაფმა უვაროვმა, „მოსკოვის ტე-
 ლეგრაფის“ დახურვის მიზეზის განმარტების დროს
 სხვათა შორის პოლევოიზე სთქვა: „საჭირო იყო წა-
 ერთმიათ მისთვის უფლება ხალხთან ლაპარაკის,
 ამის ნება მუდამა აქვს მთავრობას, და **ზრული იუ-
 რიდიულიც** რადგან რუსეთის მოქალაქეთა უფლე-
 ბაში არ შედის ხალხთან წერილობით ლაპარაკის
 უფლება“. თავისთავად ცხადია **ამავე იურიდიულ
 უფლების ძალით** შეეძლო გრაფ უვაროვს სიარუ-
 ლის და კითხვის ნება არ მიეცა პალევოისთვის,
 რადგან ასეთი პრივილეგიები არ არის რუსეთის მო-
 ქალაქის უფლებაში. თუ მოხდებოდა ისეთი მაგა-
 ლითი, რომ უმაღლეს ადმინისტრაციაში ვინმე
 პატიოსანი მოხელე გამოჩნდებოდა ამას ნამდვილ

საზოგადო მოღვაწეობათ სთვლიდენ. როცა პეროვსკიმ ხმა აღიმალა ჩარჩობის წინააღმდეგ ურომლისთაც ვაჭრებს ცხოვრება არ შეუძლიათ როგორც უჭაეროთ, ამან „ყველა აღტაცებაში მოიყვანა“, პირველმა, მინისტრმა მიაქცია ყურადღება ხალხის ნამდვილ საჭიროებას. „მგონია აქ არაფერი არა ჩვეულებრივი არ არის“ ამბობს ნიკიტენკო—ეს მხოლოდ თავის მოვალეობის შესრულებაა, მაგრამ ეს დიდი არა ჩვეულებრივი ამავდია ჩვენში. ყველა შესაქმელათ უყურებს რუსეთს და არვინ იმაზე კი არ ფიქრობს, რომ საწყალ რუსეთს საქმელი არა აქვს, რომ ქორდი მოხელეები იტაცებენ ხალხის უკანასკნელ გროშებს, რომ რუსეთში სიმართლე არ არის და სხვა.“

ასეთი იყო ამ დროს სინამდვილე რუსეთში. მასში არ იყო არაფერი ახალი რუსეთის მცხოვრებისთვის, რომელიც მუდამ მთავრობის აპეკის ქვეშ იყო და მის საჭიროებისთვის არვინ ფიქრობდა. ნიკოლოზის ეპოქის დროს ახლი მხოლოდ ის იყო, რომ პირველათ მან ყოველ მხრით იცნო თავის თავი, გამოუძებნა თეორეტიული საფუძველი პოლიციურ—ბიუროკრატიულ რეჟიმს, შექმნა თავისებური ფილოსოფიური სისტემა. 14 დეკემბერს ის მნიშვნელობა ქონდა, რომ გაიგეს იდრის ძალაც და შეშინდენ, მიხვდენ, რომ იდეასთან საბრძოლველათ საკმარისი არ იყო მარტო პოლიციური ზომები, საჭირო იყო შეექმნათ ბიუროკრატიულ თვითნებობის იდეის მაგვარი რამ. და აი დასავლეთ ევროპის სოციალურ მოძღვრებას წინ დაუყენეს რალაც ახლად გამომცხვარი არსებულ რეჟიმის მოძღვრება, ეს შინ გამომცხვარი პოლიტიკური ფილოსოფია რომელსაც პიპინმა „ოფიციალური ხალხისობა“ დაარქვა, დღემდე შენახულა რეაქციონურ-პატრიოტულ ორგანოების ფურცლებზე. მისი ძირითადი იდეა იყო, რომ მკვდარ ბიუროკრატიულ სისტემას ღრმათა აქვს გამდგარი ფესვები, ხალხის შემეცნებაში, სავსებით შეეფერება რუსეთის ხალხის ნაციონალურ სულს, ამ აზრით უნდოდათ შეიფერხებიათ დასავლეთის იდეის დამრღვეველი მოქმედება.

(შემდეგი იქნება)

ფეცლოვის გასწორება.

„სხივი“ № 1 მოთხრობაში „ბეჟუკას ხედრი“. დაბეჭდილია: „დიდებულ დედა-მიწას“; უნდა იყოს: „მღუმარე დედა-მიწას“.

რედაქტორ—გამომც. ე. ტურაბელიძე.

ს ს ი პ ი

ჟურნალში დაიბეჭდება: მოთხრობები (როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი) ლექსები, კრიტიკული წერილები ლიტერატურაზე, ბიბლიოგრაფიები, შესანიშნავ მწერალთა ბიოგრაფიები და სხვა.

მონაწილეობას მიიღებენ: ნ. აზიანი, ახსნი-რეჯი, ბ. გელა, ე. გოგოლაძე, ივ. გამარტელი, ნ. ზამბელიძე, მ. იასაშანი, ზ. ირეთელი, ა. ჯაფარიანი, ლეო, რ. ჯეხუჭუაძე, ვ. მალაქიაშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, ა. რაჟდანიძე, ტ. რამიშვილი, ვ. რუსაძე, ფ. რუშაველი, ვ. ტუქსიაშვილი და სხვანი.

ჟურნალი ეღირება:

ერთის წლით —	—	5 მან.
ნახევარი წლით —	—	2 მ. 50 კ.
ერთის თვით —	—	50 კაპ.
ათათ ნამეჩი —	—	10 კაპ.

ვინც მთელი წლით გამოიწერს და იანვრის გასვლაზე და სრულად შემოიღებს ფულს პრემიათ გაეზავნება სთავნიპის მოთხრობა სახელი ვოლგის ნაპირზე

წიგნი ხეღის მომწერვეს თებერვლის დამღვეს დაურიგდებათ აგრეთვე დეკემბრის ნომრები უფასოთ ვაგეზავნება.

რედაქციასთან მალაშაჩაძეს და აგრეთვე ჟურნალის გამაწერა შეიძლება თბილისში: სელაბრაჟის ქ. ვერაზე სახლი № 1. „გუტტენბერგის“ სტამბის კანტონში დიდის 10 სართიდან 3 სართამდე და სულამს 5—7-მდე.

ქალაქ ვარეთ:

ქუთაისში—წიგნის მალაზია „იმერეთი“ ი. კვიციანიძისთან.

სამცრედიაში—რკ. გზის შკაფში ე. კაპაძესთან.

ქიათურაში—მასწ. ვ. ხურაძისთან.

ბათუმში—რკ. მზის შკაფში გ. მახარაძისთან.

ოზურგეთში—წიგნის მალაზ. მ. თაღაჯაძისთან.

ჩოხატაურში—წიგ. მად. ს. თაგარტილაძისთან.

ხიდისთავში—ე. ლომთათაძისთან.

სად ავტობუსში—გარდენ ეიფიანთან და რკინის გზის უკაფა სადგურებზე, სულაწ წიგნის შკაფებია.

წერილები და ფული ღროებით ამ აღრესით უნდა გამოიგზავნოს: **Тифлисъ, Типографія Гуттенбергъ, уголъ Ольгинской и Слѣпцовой ул. № 1. Полѣвкту Антоновичу Каландадзе.**